მშობლების
გამოკითხვა
სკოლის დასუფთავება
USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
P4E
მშობლები
განათლებისთვის

7/12/2023

გამოკითხვა ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“, პროექტის „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში“ ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

გამოკითხვის შესახებ

სკოლების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ მშობელთა აზრის შესწავლის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ online გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც 1030-მა მშობელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის, თბილისში, სხვა დიდ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებმა პირებმა.

გამოკითხვის ჩატარების საფუძველი გახდა მშობელთა მაღალი მიმართვიანობა. გასული ერთი წლის განმავლობაში მშობელთა ასოციაციას სხვადასხვა არხებით (სატელეფონო მომსახურების ცენტრი, ელ. ფოსტა, ფეისბუქი, პირადი კონტაქტი) დაუკავშირდა ასეულობით მშობელი, რომელიც წუხილს გამოთქვამნდა მისი შვილის სკოლაში არსებული დაბინძურებული გარემოს გამო. სკოლებში სისუფთავის დაცვის პრობლემამ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა 2023 წლის ივლისში გამოცემულ პუბლიკაციაში „სასკოლო გამოწვევები“(https://parents.ge/?p=1691)

სკოლების მნიშვნელოვან ნაწილში ანტისანიტარიაზე წლებია მიუთითებს სახალხო დამცველის ანგარიშები (https://ombudsman.ge/res/docs/2019052414115041663.pdf), რომლის მიხედვითაც სკოლის სველი წერტილები ხშირად ანტისანიტარიულ პირობებში ფუნქციონირებს, რაც საფრთხეს უქმნის მოსწავლეების ჯანმრთელობას და აფერხებს ბავშვთა განვითარებას.

ანონიმურმა გამოკითხვამ აზრის დაფიქსირების საშუალება იმ მშობლებსაც მისცა, ვისაც სხვადასხვა მიზეზით არ სურს ღიად ისაუბროს პრობლემაზე. მიზეზებთა შორის დომინირებს, მშობლის აქტიურობის გამო სკოლაში ბავშვის დაჩაგვრის და/ან კლასის დამრიგებლის დასჯის შიში.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა:

- სკოლის სისუფთავის მნიშვნელოვნება გამოკითხული მშობლებისთვის;
- გამოკითხული მშობლების ინფორმირებულობის ხარისხი სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ;
- გამოკითხული მშობლების შეფასება სკოლის საპირფარეშოში, საკლასო ოთახებსა და სხვა სივრცეებში ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ;
- გამოკითხულ მშობელთა აქტიურობის და შემდგომი რეაგირების მაჩვენებლები;
- სკოლის დასუფთავებაში გამოკითხულ მშობელთა თანამონაწილეობის საკითხები;
- სისტემური პრობლემები, რაც ხელს უშლის სკოლაში სისუფთავის შენარჩუნებას.

ძირითადი მიგნებები

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა მშობლების ნაწილი საგანგაშოდ აფასებს სკოლის შენობებში სისუფთავის დაცვის მაჩვენებელს. მათი ინფორმაციით, სკოლებს არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობით დამლაგებლები, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ ჰყავთ დამლაგებელი. ასეთ სკოლებს მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ალაგებენ.

მშობლები ამბობენ, რომ დაბალი ხელფასის გამო სკოლას უჭირს მოიზიდოს და შეინარჩუნოს დამლაგებლები.

მშობლები სკოლაში ყველაზე დაბინძურებულ წერტილად საპირფარეშოს მიიჩნევენ.

- გამოკითხულთა 85% ამბობს, რომ სკოლის საპირფარეშოში უსიამოვნო სუნი დგას.
- გამოკითხულთა 50% ამბობს, რომ სკოლის საპირფარეშო „უმეტესად დაბინძურებულია“.
- გამოკითხულთა 40% ამბობს, რომ მისი შვილის საპირფარეშოში კარი არ იკეტება, რადგან არ აქვს საკეტი ან დაზიანებულია.
- გამოკითხულთა 44% ამბობს, რომ მათი შვილის სკოლის საპირფარეშოში ხან საპონი არ არის და ხან ქაღალდი. დამატებით 17% კი აცხადებს, რომ არც საპონია და არც ქაღალდი.
- გამოკითხულთა 31% ამბობს, რომ მისი შვილი ცდილობს არ გამოიყენოს სკოლის საპირფარეშო, ხოლო 4,5% ამბობს, რომ მათი შვილები არასოდეს სარგებლობენ სკოლის საპირფარეშოთი.

მშობლების ცნობით, პრობლემური საკითხია საკლასო ოთახების სველი წესით დალაგებაც. გამოკითხულთა მხოლოდ 17% ამბობს, რომ საკლასო ოთახის სველი წესით დასუფთავება ყოველდღიურად ხდება. სხვათა მოსაზრებით ოთახები კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იწმინდება. მშობლების 20% ამბობს, რომ თვითონაც მიუღია მონაწილეობა სკოლის დასუფთავებაში. 14%-ს დაუდია თანხა იმისთვის, რომ დამატებით გადაეხადათ სკოლის დამლაგებლისთვის ან დაექირავებინათ გარეშე პირი საკლასო ოთახის დასალაგებლად. 12% მიუღია მონაწილეობა ფულის შეგროვებაში, რათა შეეძინათ საპირფარეშოს ქაღალდი და ჰიგიენის დაცვის სხვა საშუალებები სკოლაში მისატანად. ხოლო 6%-ს თავად მიუტანია სკოლაში საპირფარეშოს ქაღალდი და სველი ხელსახოცები.

გამოკითხვის დეტალური შედეგები

ინფორმაცია გამოკითხვის მონაწილეთა შესახებ:

- სკოლის დასუფთავების შესახებ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1130-მა პირმა. მათი 94 % დედაა, 3%-მამა, 3%-ოჯახის სხვა წევრი

1. მონიშნეთ თქვენი სტატუსი
1,130 responses



- გამოკითხვაში მონაწილე პირების 86%-ს საჯარო სკოლაში დაჰყავს შვილი, 14%-ს კერძო სკოლაში.

2. მიუთითეთ თქვენი შვილის სკოლის სტატუსი
1,130 responses



- გამოკითხვაში მონაწილეთა 59% დედაქალაქის სკოლას წარმოადგენს, 31% - ქვეყნის დიდ ქალაქებს, 10 % - სოფლად და დაბაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებს.

3. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი შვილის სკოლის მდებარეობა
1,130 responses



- გამოკითხვაში მონაწილეთა შვილები სწავლობენ სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. (6-12 წლის შვილი - 83%; 13-15 წლის შვილი - 30%; 16-18 წლის შვილი - 10%)

4. მონიშნეთ თქვენი შვილ(ებ)ის ასაკობრივი კატეგორია. (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა.)
1,130 responses



სკოლაში სისუფთავის დაცვის მნიშვნელობა

- გამოკითხვაში მონაწილე პირთა 99% ამბობს, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის საპირფარეშოში ჰიგიენური ნორმები იყოს დაცული.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„ეს სწავლაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ჯანმრთელი და მოწესრიგებული თუ არა იქნება სასკოლო გარემო, რომელ წიგნზე ვსაუბრობთ?! დირექციასთან ამაზე საუბარს აზრი არ აქვს, მეტყვიან დამლაგებელი ერთია და ამდენ ბავშვს როგორ აუვაო, რესურსი არ არისო და ხელს ყოველთვის ზემოდგომებისკენ გაიშვერენ. სწორიცაა.. ეს არის სათავეში მოსაგვარებელი პრობლემა. საკეტები არ მუშაობს საპირფარეშოში, ქაღალდიც არასოდეს არის. ეშინიათ და ეზიზღებათ შესვლა ჩემს შვილებს.“

„რატომ არ ამოწმებს განათლების სამინისტრო ამ სკოლების მდგომარეობას არ ვიცი,ძალიან უყურადღებობაა სისუფთავის მხრივ“.

---

5. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სკოლის საპირფარეშოში ჰიგიენური ნორმების დაცვა?
1,130 responses



- გამოკითხულ პირთა 89% აცხადებს, რომ ხშირად უსაუბრია შვილთან სასკოლო გარემოს გაფრთხილების აუცილებლობის შესახებ. 10% ამბობს, რომ იშვიათად ჰქონია შვილთან ამ თემაზე საუბარი. მხოლოდ 1% აცხადებს, რომ ამ საკითხზე შვილთან არასოდეს უსაუბრია.

25. თუ გქონიათ შვილთან საუბარი, რომ მოუფრთხილდეს სასკოლო გარემოს, არ დააზიანოს და არ დააბინძუროს ინფრასტრუქტურა

1,130 responses



- ✅ გამოკითხულ პირთა 35% ამბობს რომ სკოლაში ბავშვებს ასწავლიან სანიტარიული ნორმების და პირადი ჰიგიენის წესების დაცვას. 27% ამბობს, რომ არ ასწავლიან. ხოლო 38%-ს არ აქვს ინფორმაცია ამის შესახებ.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„უნდა მოხდეს მეტი ინფორმირება და საუბრების ჩატარება ბავშვებთან ქაღალდის გაფრთხილების მნიშვნელობაზე და მათი სწორად მოტივირება ამ კუთხით, მშობლებს აქაც მეტი კონტროლი უნდა გააჩნდეთ პროცესზე და მეტად იყვნენ ჩართული (მაგ., ისაუბრონ მტვრისა და დაავადებების გავრცელების ურთიერთკავშირზე, ჯანმრთელობისთვის მტვრისა და გაუნიავებელი ოთახის მავნებლობაზე და მისთ.) და დამრიგებლების კონტროლი უნდა ხდებოდეს ამ კუთხით!“

---

24. ხდება თუ არა სკოლაში მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება სანიტარული ნორმების და პირადი ჰიგიენის წესების დაცვის შესახებ?

1,130 responses



სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა სკოლის საპირფარეშოში

- გამოკითხულთა 4,5% ამბობს, რომ მათი შვილები არ სარგებლობენ სკოლის საპირფარეშოთი, ხოლო 31% ცდილობს არ გამოიყენოს სკოლის საპირფარეშო.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„სკოლაში ჰიგიენის ნორმები დაცული არ არის, განსაკუთრებით საპირფარეშოებია საშინელ მდგომარეობაში. არ იკეტება, სუნია გაუსაძლისი. ჩემი შვილები არ სარგებლობენ არასდროს. თავს იკავებენ და ამის გამო არაერთხელ ექიმთან წაყვანა მომიხდა “

„ბევრჯერ ყოფილა, ბავშვი საპირფარეშოს გამო თავს იკავებდა სკოლაში წასვლისგან. იქ რომ რამე მომინდეს, რა ვქნა, იმ სიბინძურეში ვერ შევალო“

„სკოლის საპირფარეშოებში არის კატასტროფული ანტისანიტარია, რაც მე შემთხვევით ვნახე. კარსაც კი ვერ მოკიდებ ხელს. უნიტაზებში დაგუბებული წყლები, ყველგან ნახმარი ქაღალდები დაყრილი, არც საკეტები, არც ქაღალდი, არც საპონი. საშინელი მტვერი და სიბინძურე. უნიტაზებს დასაჯდომებიც კი არ ჰქონდათ და ბავშვის ხელსაბანში ჩატოვებული იყო საწმენდი ხნსარებ,ი რაც ყველაზე საშიშია... სრულიად შოკირებული გამოვედი სკოლიდან“

„მთელ დერეფნებში დგას საშინელი სუნი საპირფარეშოდან გამოსული. ასევე საკლასო ოთახებშიც.“

---

6. სარგებლობს თუ არა თქვენი შვილი სკოლის სპირფარეშოთი?
1,130 responses



- გამოკითხულთა თითქმის ნახევარი სკოლის საპირფარეშოში მონიტორინგის მიზნით პირადად შესულა, სხვები ბავშვების ან სხვათა გადმოცემით ფლობენ ინფორმაციას სველ წერტილებში არსებული მდგომარეობის შესახებ. გამოკითხულთა 50% სკოლის საპირფარეშოში არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც „უმეტესად დაბინძურებული“. 20% თვლის, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, 20% ამბობს, რომ უმეტესად სუფთაა. დანარჩენი პირები არ ფლობენ ინფორმაციას.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„ვფიქრობ, იმ შემთხვევაში, თუ საპირფარეშოები ყოველი დასვენების შემდგომ დასუფთავდება მიღებული წესით და ყოველი სივრცისთვის განკუთვნილი იქნება ჩვარი, და სხვა საწმენდი საშუალებები, მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდება. ჩვენ სკოლაში ერთი ჩვრით იწმინდება საპირფარეშოც, დერეფანიც და საკლასო ოთახებიც.

„ხელსაბანი ნიჟარები საშინლად ბინძურია, 3 თვეა ჭუჭყი აქვს მიმხმარი. საპონი ერთხელ დამხვდა და ქაღალდიც ერთხელ 3 თვის განმავლობაში. 3 საპირფარეშოს კარიდან ერთი იკეტება ნორმალურად. ძალიან განვიცდი“

---

9. როგორ შეაფასებდით თქვენი სკოლის საპირფარეშოს ზოგად მდგომარეობას?
1,130 responses



- გამოკითხულთა 40% ამბობს, რომ მისი შვილის საპირფარეშოში კარი არ იკეტება, რადგან არ აქვს საკეტი ან დაზიანებულია. 35 % ამბობს, რომ კარი იკეტება. დანარჩენი პირები არ ფლობენ ინფორმაციას.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„საკმარისად არაა დაცული სანიტარული ნორმები, განსაკუთრებით მაღალ კლასებში. საპირფარეშოებს ან კარი აქვთ მოძტვრეული, ან კარზე საკეტი, ბავშვები ცდილობენ არ გამოიყენონ ტუალეტი.საპირფარეშოების კაბინის მინიმუმ ერთი საკეტის შეკეთებაზე არაერთხელ მივმართეთ სკოლაში პასუხისმგებელ პირს, რომელიც არ ასრულებს ჩვენს თხოვნას“

---

10. აქვს თუ არა საპირფარეშოს კარს საკეტი?
1,130 responses



- გამოკითხულ პირთა 44% ამბობს, რომ მათი შვილის სკოლის საპირფარეშოში ხან საპონი არ არის, ხან ქაღალდი. დამატებით 17% კი აცხადებს, რომ არც საპონია და არც ქაღალდი. მხოლოდ 23 % ამბობს, რომ ორივე არის.

- გამოკითხულთა 85% ამბობს, რომ სკოლის საპირფარეშოში დგას უსიამოვნო სუნი. (ყოველთვის 50%, იშვიათად 30%) მხოლოდ 7% ამბობს რომ უსიამოვნო სუნი არასოდეს დგას.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„როცა მეძლევა საშუალება, თითქმის სულ ვამოწმებ საპირფარეშოს, სადაც არასდროს არაა ქაღალდი ან საპონი“

„მნიშვნელოვანია მშობლებს გვეძლეოდეს საშუალება შევამოწმოთ სკოლის ჰიგიენური ნორმები. უმნიშვნელოვანესია საპირფარეშოში მუდმივად იყოს თბილი წყალი, საპონი, ხელსახოცი. სამწუხაროდ ეს იშვიათად ხდება.“

„ჩემს სკოლას მხოლოდ ორი დამლაგებელი ჰყავს. გარემო ყოველთვის სუფთაა, მაგრამ არა ტუალეტები. ტუალეტებში დგას საშინელი სუნი, უნიტაზებს არ აქვთ თავსახურები და ძალიან იშვიათად არის საპონი და ქაღალდი“

„პირველ რიგში თავად ბავშვები არ უფრთხილდებიან ქაღალდს და საპონს, ამის გამო ხშირად მთელი „რულონი “ ქაღალდი დამთავრებულა და სანამ ახალი ქაღალდი დადეს, ბავშვებს არ ქონდათ ქაღალდი. ეს ხშირად ხდება.“

---

11. არის თუ არა საპირფარეშოში საპონი და ქაღალდი?
1,130 responses



12. დგას თუ არა საპირფარეშოში უსიამოვნო სუნი?
1,130 responses



საკლასო ოთახების დასუფთავება

- ✅ გამოკითხულ პირთა ნახევარმა არ იცის, რა სიხშირით სუფთავდება მისი შვილის საკლასო ოთახი. სხვა პასუხების მიხედვით, მშრალი წესით ყოველდღიურად სუფთავდება საკლასო ოთახების 38%, სველი წესით მხოლოდ 17%.

13. რა სიხშირით სუფთავდება თქვენი შვილის საკლასო ოთახი მშრალი წესით?
1,130 responses



14. რა სიხშირით სუფთავდება თქვენი შვილის საკლასო ოთახი სველი წესით?
1,130 responses



- ✅ გამოკითხულთა ცნობით, სკოლას უმეტესად დამლაგებელი ალაგებს. მშობლების 20% მისულა სკოლაში საკლასო ოთახის დასალაგებლად. აღნიშნული საკითხის ინიციატორები ძირითად შემთხვევაში მშობლები ან მასწავლებლები არიან.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„არასაკმარისი დამლაგებელია სკოლაში და ყოველ დღე ვერ ასწრებენ ყველა კლასის დალაგებას. ორშაბათობით არის მხოლოდ დალაგებული და დანარჩენ დროს ჩვენ მშობლები ვზრუნავთ კლასის სისუფთავეზე.“

მშობლები ვალაგებთ იშვიათად, როცა რაღაც ღონისძიება ტარდება, ვეხმარებით მასწავლებელს, ერთხელ ავუგროვეთ თანხა დამლაგებელს, ჩვენ ვერ მოვიცალეთ. ჰიგიენური საშუალებებისთვისაც ერთი -ორჯერ გვაქვს აგროვებული თანხა.

„ბავშვები ალაგებენ კლასებს, დამლაგებელი არ ჰყავს ჩვენს სკოლას, საშინელი ანტისანიტარიაა“

„დამლაგებელი არ გვყავდა ერთ წელზე მეტია. ანაზღაურება ძალიან დაბალია. ბავშვების ხელით ლაგდებოდა საკლასო ოთახები.“

მშობლების თანამონაწილეობა სკოლის დასუფთავების საკითხში

- ✅ გამოკითხულთა 14% დაუდია თანხა იმისთვის, რომ დამატებით გადაეხადათ სკოლის დამლაგებლისთვის ან დაექირავებინათ გარეშე პირი საკლასო ოთახის დასალაგებლად.

გამოკითხვის მონაწილე მშობლის ციტატა:

„ძირითადად აკრებილ თანხას ვიხდით ყოველთვიურად და ალაგებენ სკოლის დამლაგებლები. როგორც გვითხრეს, არ ევალებათ საკლასო ოთახები და ეს თანხა მაგიტომ იკრიბება“

---

16. შეგიგროვებიათ თუ არა მშობლებს თანხა დასუფთავებისთვის?
1,130 responses



- ✅ გამოკითხულთა 12% მიუღია მონაწილეობა ფულის შეგროვებაში, რათა შეეძინათ ტუალეტის ქაღალდი და ჰიგიენის დაცვის სხვა საშუალებები სკოლაში მისატანად. ხოლო 6%-ს თავად მიუტანია სკოლაში ქაღალდი და სხვა ნივთები.

18. შეგიგროვებიათ თუ არა მშობლებს თანხა ტუალეტის ქაღალდისა და სხვა ჰიგიენური საშუალებებისთვის

1,130 responses



დამლაგებლების სიმცირე

- გამოკითხულ პირთა 49% ამბობს, რომ სკოლას არ ჰყავს საკმარისი რაოდენობით დამლაგებელი. 14 % ამბობს, რომ ჰყავს, ხოლო 36%-ს არ აქვს ინფორმაცია.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„არასაკმარისი რაოდენობის დამლაგებელი ჰყავს სკოლას და ვინც ჰყვათ, მათაც მიზერული ანაზღაურება აქვთ და ბევრს ვერაფერს თხოვენ.“

„ჩვენს სკოლას აქვს 2 დამოუკიდებელი შენობა და 1 დამლაგებელი. ხომ გასაგებია რომ არაფერი არ იქნება არასდროს დალაგებული.“

„არ ყავს საკმარისი დამლაგებელი. ვაკანსია გამოცხადებულია მაგრამ 300 ლარიან ხელფასზე არავინ მოდის“

„ ხელფასი დაბალია და დამლაგებელი არ ჩერდება“

„მოსული დამლაგებელი მეორე დღეს გარბის“

---

26. ჰყავს თუ არა სკოლას საკმარისი რაოდენობით დამლაგებელი?
1,130 responses



- გამოკითხულ პირთა 22% აცხადებს, რომ მიუმართავს სკოლის დირექტორისთვის დასუფთავების მოთხოვნით. მხოლოდ 3% ამბობს, რომ მიმართვის შემდეგ გაუმჯობესდა მდგომარეობა. 19% კი აცხადებს, რომ დირექტორთან მიმართვის შემდეგ არაფერი შეცვლილა.

გამოკითხვის მონაწილე მშობლის ციტატა:

„დირექტორს ვუთხარით რომ არ სუფთავდებოდა კლასი სათანადოდ. შეგვჰირდა რომ გამოსწორდებოდა სიტუაცია. მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მშობლები ვასუფთავებდით მორიგეობით. დირექტორმა საყვედური უთხრა კლასის ხელმძღვანელს და საერთოდ აგვიკრძალეს კლასში შესვლა.“

- გამოკითხვის პროცესში მშობლებს ვთხოვეთ გაეზიარებინათ პასუხი შემდეგ შეკითხვაზე: „თუ მიგიმართავთ დირექტორისთვის, გთხოვთ გაგვიზიაროთ მისი პოზიცია“.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„დირექტორმა გვითხრა, რომ სკოლის ბიუჯეტი არ აძლევს მეტი დამლაგებლის აყვანის საშუალებას.“

„დირექტორის თქმით, 400 ლარზე არავინ მოდის სკოლაში სამუშაოდ...მომიყვანეთ მსურველი და თქვენი პრობლემაც გადაწყდებაო“

„დირექტორმა გვითხრა, რომ ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ უზრუნველყოფენ უკეთეს მდგომარეობას, ბიუჯეტი არაა საკმარისი დამლაგებლების დამატებისთვისო“

„დირექტორის თქმით, დამლაგებლის ხელფასი იმდენად მცირე (300 ლარი დაახლოებით) რომ ვერ ჰოულობენ დამლაგებელს ვინც ამ ხელფასზე იმუშავებს. 3 სართულიან სკოლას ჰყავს 1 დამლაგებელი, რომელიც ბუნებრივია ვერაფერს ასწრებს“

„სამინისტროს მიერ გამოყოფილი ხელფასი დამლაგებლისთვის არ არის საკმარისი, ამ მიზერულ ანაზღაურებაზე არავინ თანხმდებაო“.

„დირექტორი თვლის რომ არანაირი პრობლემა არ აქვთ ამ მიმართულებით. არ სურთ პრობლემების აღიარება.“

„იმდენად მცირე ხელფასია დამლაგებლისთვის, რომ არავინ მოდისო. სკოლას არ ჰყავს დამლაგებელი დღემდე“

„დირექცია ანტისანიტარიაში ერთმნიშვნელოვნად ადანაშაულებს ბავშვებს“

„როგორც სკოლა ამბობს, არ ჰყავთ საკმარისი თანამშრომელი. ამბობენ, რომ დაფინანსება არ აქვთ დასუფთავების თნამშრომლების ასაყვანად. კლასებს ბავშვები ალაგებენ მორიგეობით, ოღონდ, რა თქმა უნდა სველი წესით არა. უბრალოდ, ზედმეტ ქაღალდებს და ნივთებს იღებენ იატაკიდან, ასწორებენ მერხებს, ასუფთვებენ დაფას და ა.შ.“

„თავად მოიძიეთ დამლაგებლები, ჩვენ 1 გვყავს და ისიც მიდისო ...“

„დირექტორი თვითონ აქტიურად მონაწილეობს, ალაგებს საპირფარეშოსაც. რადგან ასეთ დაბალ ხელფასზე არ ჩერდება დამლაგებელი. სამინისტრო კი დამლაგებლის ხელფასს არ ზრდის.“

---

27. მიგიმართავთ თუ არა დირექტორისთვის სკოლის დასუფთავების მოთხოვნით?
1,130 responses



28. რა შეიცვალა მას შემდეგ რაც დირექტორს მიმართეთ?
1,130 responses



მშობლების რეკომენდაციები სისტემური პრობლემის აღმოსაფხვრელად

- გამოკითხული მშობლები აცხადებენ, რომ სკოლებში ანტისანიტარია სისტემური პრობლემაა და არსებული რესურსებით მისი აღმოფხვრა აღემატება ცალკეული სკოლის ძალებს. მშობლები საქართველოს მთავრობას მოუწოდებენ გააორმაგოს დამლაგებლების ანაზღაურება და მათი საშტატო ერთეული სკოლებში.
- გამოკითხული მშობლები საჭიროდ თვლიან, შეიქმნას სკოლის სანიტარიული კვანძების, საკლასო ოთახების, სპორტული დარბაზების და სხვა სივრცეების დასუფთავების პროტოკოლი, რომელიც მკაცრად იქნება დაცული ყველა სკოლაში.
- გამოკითხული მშობლები გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევენ სასკოლო სივრცეში ბავშვებისთვის ჰიგიენის ნორმების დაცვის სწავლებას, ასევე, ინფრასტრუქტურის და რესურსების მოფრთხილების აუცილებლობაზე ყურადღების გამახვილებას. ამასთან,

მშობლები მზადყოფნას გამოთქვამენ თავისი წვლილი შეიტანონ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების საქმეში.

გამოკითხვის მონაწილე მშობლების ციტატები:

„სპირფარეშო უნდა სუფთავდებოდეს ყოველი დასვენების შემდეგ. დეზინფექცია ხდებოდეს და არა ზედაპირული დასუფთავება. შემოწმდეს ქაღალდის და საპნის არსებობა რეგულარულად. დამლაგებელს ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება და არა შეურაცხმყოფელი ხელფასი“

„კლასები უნდა ლაგდებოდეს სველი წესით ყოველ დღე. ხდებოდეს სპირფარეშოს დალაგება დეზინფექცია ყველა წესის დაცვით დღეში რამდენიმეჯერ

„მნიშვნელოვანია მშობლებს გვეძლეოდეს საშუალება შევამოწმოთ სკოლის ჰიგიენური ნორმები. უმნიშვნელოვანესია სპირფარეშოში მუდმივად იყოს თბილი წყალი, საპონი, ხელსახოცი. სამწუხაროდ ეს იშვიათად ხდება.“

„ელემენტარული აღჭურვილობა უნდა ჰქონდეს დამსუფთავებელს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი და რაღაც ნაჭრის ბინძური ნაგლეჯით არ წმენდდეს იატაკს. უნდა გაიწეროს განაწესი დასუფთავების და იყოს შესრულებული ყველა პუნქტი, მთელი წესების დაცვით.“

„კარგი იქნება, თუკი სკოლაში არსებულ ჰიგიენურ საკითხებს განათლების სამინისტრო შედარებით მეტ დროს და ენერგიას დაუთმობს და ამ პრობლემის მოსაგვარებლად შედარებით მეტ დაფინანსებას გამოყოფს“

„მინდა რომ უკეთეს პირობებში უწევდეთ ბავშვებს ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება. ძალიან გაბრაზებული ვარ განათლების სამინისტროზე რომ საჭირო თანხებს არ აძლევენ სკოლებს, რათა მათ დამლაგებლები აიყვანონ ღირსეული ანაზღეურების სანაცვლოდ.“

„გაზარდოს სამინისტრომ დამლაგებლის ხელფასი, დამლაგებლების რაოდენობა (აუცილებელი ფაქტორი), შემდეგ მკაცრად გაკონტროლდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხი და საბოლოოდ მოგვარდება ეს პრობლემა.“